


ნოანობი

№9

1937

ფასი 50კ.

სპეციალური
იდიას
სახსოვარი



— ველარ განუძლო ქვეყანამ ძველმა
განახლებისა გრიგალის კროლას,
ველარ განუძლო ქვეყნის მძარცველმა
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას...

უკვე დაიშვრა ჩვენსა მხარეში
შემფერხებელი ცხოვრების ხუნდი
და აციმციმდა ქვეყანა შვებით
ვით მარგალიტი და იაგუნდი.



— ილიას სპეციალური ნომრისათვის რამე დამიწერე! — მითხრა ნიანგმა.

— საპატიო დავალებაა, მაგრამ დაეჭვებული ვარ, რომ დიდი სატირიკოსის და ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელ მწერლის შესაფერი წერილის შეთხზვა მოვახერხო.

— შეთხზვა რად გპირდება?! ცოტაა კბილგასაკრავი ფაქტები? შენც აიღე რამდენიმე მათგანი და გაჰყარი კბილი ჩვენებურად. თუ ამ თვალსაზრისით სხვადასხვა პირებს და ორგანიზაციებს ჩამოუვლი, საკბილოს იმდენს იშოვი, რომ ნიანგელთა მთელ ლაშქარს დააპურებს.

დავუჯერე და უპირველეს ყოვლისა საქართველოს სახკინმრეწვეს მივაშურე.

*
* *

— როგორ ემზადებით ილიას დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად? — შევეკითხე ერთერთ პასუხისმგებელ მუშაკს.

— ისე, ჩვენებურად... მზადებას დიდი ხანია შევუდექით, ხოლო დამთავრება კი ჯერ შორს არის.

— მაინც?..

— პირველ ხანებში ჩვენ დავაპირეთ დაგვედგა კინო-სურათი ილიას ნაწარმოებიდან. მაგრამ ავტორი ვერ აღმოვაჩინეთ.

— როგორ! ავტორი ხომ თვით ილია იყო?

— არა, ვერ გამიგეთ: სწორედ იმან შეგვაფერხა, რომ ავტორი ვერ აღმოვაჩინეთ. ჩვენს წარმოებაში დაკანონებულ ჩვეულების მიხედვით შეუძლებელია დაიდგას ისეთი ნაწარმოები, რომლის ავტორი იმავე დროს სახკინმრეწვის რეჟისორი არ არის. ილია კი, როგორც ვიცით, თუმცა ქართული თეატრის დიდი მოამბე იყო, მაგრამ რეჟისორი არასოდეს არ ყოფილა. მარტო დიად მნიშვნელობის ნაწარმოებთა ავტორობა კი მეორე ხარისხიდან საქმეა და საკმარისი არ არის რომ ილიას ნაწარმოები კინოში დაიდგას.

მე გავიხსენე სახკინმრეწვის აფიშის წარწერები.

ილიას ნაკვეთებიდან

1

ილიას ჰკითხეს: რა უშველის უყმბოდ დარჩენილ თავადაზნაურობას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგო.

— თავადაზნაურობას ერთმანეთის ბეზღებაში რუსის მეფე პენსიას გაუჩენს და ამ მოკლე ხნის სიცოცხლეში ისიც ეყოფაო.

2

რუსეთის მეფის მთავრობამ ბრძანება გასცა, სომხების ეკლესიებისათვის ჩამოერთვათ ყოველივე ქონება და გადაეცათ საიმპერიო ხაზინისათვის. ბრძანება შესრულებული იქნა. სომხებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამას შედეგად დიდი რეპრესიები მოჰყვა.

ამაზედ ერთმა სომეხმა შესჩივლა ილიას: დიდი კაცი ბრძანდებით, იქნება გვიშველო რამეო. ილიამ მიუთხო:

— ჭაჩალმა რომ წამალი იცოდეს, ჯერ თავს უშველიდაო.

3

მწერალმა ანტონ ფურცელაძემ, რომელსაც ენას უწუნებდნენ, ილიას შესჩივლა:

— ილია, დიდი მოურავი ჩემი დაწერილია, ის ხალხს ძალიან უყვარს, მაგრამ არა კითხულობსო.

ილიამ უპასუხა:

— შენი ქართულის ჭირიმე, დიდი მოურავი მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ შენი დაწერილი „დიდი მოურავიანი“ მაინც ვერ წაქციოთ ბოლომდეო.

4

ილია „ივერიის“ რედაქტორი იყო. აუარებელი ლექსი მოსდიოდა და ყველა ეხვეწებოდა: ილია, ოღონდ დამიბეჭდე და რასაც მთხოვ, აგისრულებო. ილია არა ბეჭდავდა უფარგმსობის გამო.

ჰკითხეს, რატომ არ უბეჭდავო. ილიამ უპასუხა: ჯერ ერთი მათის წაკითხვით მკითხველს გემო გაუფუჭდება და მეორეც, ყველა რომ დავბეჭდო, ჩვენი გაზეთის ტირაჟი ავტორებს არ ეყოფა და ბაზარზე რაღა გავიტანოთ გასაყიდათო.

გამახსენდა, რომ წაკითხულ აფიშებში ხსენებული იყო „დავით ყეზულ“ არა-რეჟისორ ავტორების და მივხვდი, რომ ჩემი თანამესაუბრე მართლს ამბობდა. მივხვდი, რომ თუ ილიას რომელიმე ნაწარმოებს დადგამდნენ, „საკომპენსაციოდ“ დადგმული ნაწარმოების ავტორის — არარეჟისორის სახელს „ავტორი“-რეჟისორი დაისაკუთრებდა და თვით ილიას ხსენება კინოს ხელმძღვანელთა მიღებული ჩვეულებით „აბრაამის წიაღსა შინა“ უნდა დარჩენილიყო. ამან კი შექმნა უხერხული მდგომარეობა, რის გამოც კინოს მუშაკებს ხელი ააღებია ილიას ნაწარმოების კინოში გადაღებაზე.

— მაშ ანაფერს დგამთ ილიას დაბადებიდან 100 წლის გასვლის აღსანიშნავად? — იმედგაცრუებული ადამიანის ტონით ვიკითხე მე. — როგორ არა! ვდგამთ დოკუმენტალურ ფილმს ილიას ცხოვრებიდან. სურათების გადაღება ამ დღეებში დაიწყება. უკვე მზად არის ექსპედიცია...

— ყვარელში აგზავნი?

— არა, გაგრამი ვაგზავნი ილიას სახლის და კარმიდამოს გადასაღებად, რომელიც პოეტს საგურამოში ჰქონდა.

— საგურამოს გაგრამი რა უნდა? საგურამო ხომ აქვე აკრავს ჩვენს დედაქალაქს? — გაკვირვებით შევეკითხე მე მოსაუბრეს.

— მართალია, მაგრამ ახლო გადაღებულ სურათს ავტორიტეტი არ ექნება... მალე დავამთავრებთ: მართალია დაბადებიდან ასი წლის თავისათვის არ ესწრება, მაგრამ გარდაცვალებიდან ასი წლის თავისათვის ე. ი. 2007 წლისათვის უთუოდ მოესწრება. — „დამამშვიდა“ ჩემმა თანამოსაუბრემ.

*
* *

სახკინმრეწვიდან მწერალთა კავშირისაკენ გავეშურე. გზაში ერთი მოქალაქე შემომეგება, რომელსაც ძალიან ხშირად შევხვედრივარ, მაგრამ მისი სახელი და გვარი მაინც არავისთვის გამომიკითხავს.

— რათ გინდა სახელი და გვარი, იგი ყველგან გარკვეული ფსევდონიმით არის ცნობილი: კრიტიკოსი გრამაფონი გახლავთ. ეს არის მისი ფსევდონიმი, მაგრამ ეს ფსევდონიმი, ზედგამოჭრილია მის კრიტიკულ-მეცნიერულ მოღვაწეობის ხასიათთან. — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა ნიანგკორმა.

— ახლა მოვიგონე. მეც მაგ სახელით ვიცნობ! — ვუპასუხე მე.

კრიტიკოსი გრამაფონი მართლაც იშვიათი ეკზემპლიარია. მას გარკვეული პრინციპები არ გააჩნია. მას ფეხის ხმის აყოლის მიზნით, მარქსიზმის ვულგარიზატორთა მიერ ილიას ტროცკისტულ-ნილილისტურად „შეფასების“ გამომხატველ მთელ რიგ დეკლარაციებზე აქვს ხელი მიწერილი. კრიტიკოს გრამაფონს ლიტერატურული რკვევის გარკვეული მეთოდი არ გააჩნია. ერთი და იმავე მწერლების მისამართით ხან „სულთანას“ გამღერის და ხან „ბრავალქამიერს“.

*
* *

მწერალთა კავშირში სანდრო ეული და ბესო ჟღენტი ვინახულებთ.

— ჩვენ საკმაო აქტივობა გამოვიჩინეთ და კვლავ ვიჩინთ ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის შესრულების აღსანიშნავად, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე ჩვენი კავშირის წევრად არ ირიცხება. — მითხრა სანდრომ.

— მართლს ამბობს — დაუდასტურა ბესომ.

— მე უნებურად გავიღიმე.

— რატომ არ ირიცხება? — იკითხა ერთმა ახალგაზრდა მწერალთაგანმა.

— ამის მიზეზი ის არის, რომ ილია სატირული ხასიათის ლექსებსა და მოთხრობებსაც წერდა. სატირიკოსი კი ჩვენის აზრით არ შეიძლება რომ მწერლად ჩაითვალოს. — მითხრა ერთმა მდივანთაგანმა.



ბუმბერაზ ნიჭსა უღრენდნენ
ცრუ კრიტიკოსთა ზროვანი —
საფლავზეც დორბლსა აყრიდნენ,
რომ „დაემარხათ“ მსცოვანი.

მაგრამ აწ კლასმა მშრომელმა
მათი ნილაბი დაფლითა, —
და სახელს დიდი მგოსნისას
ამკობს უჭკნობი დაფნითა.

ამ საუბრის დროს მაგიდის უჯრაში ერთი წლის წინად ჩადებული ერთ-ერთი ჩვენში საკმაოდ ცნობილ თანამედროვე სატირიკოს მწერლის მორცხვად დაწერილი განცხადება, კავშირის წევრად მიღების შესახებ, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ხელახლა დიხინა...

*
*

მწერალთა კავშირიდან დაბრუნებისას სახელგამში შევიარე. წინ ამხ. შალვა რადიანი მომეგება.

— როგორ არის ილიას ნაწერების გამოცემის საქმე? — შევეცით-ბე მას.

— ცოტა შეგვივიანდა, მაგრამ ეს იმისი ბრალია, რომ ჩვენს საწარმოო სექტორს სასკოლო სახელმძღვანელო ეგონა... ახლა ყველაფერი გამორკვეულია და მაინც დროულად იქნება... ვცემთ!...

სიტყვა ცემაზე გამოცემის ნაცვლად პანკრონის ცემა მომავონდა და ამ უკანასკნელმა კი მომავონა სახელგამის ძველი „მესვეურები“, ხალხის მტრები, ბარონი და ნიკოლოზ მიწიშვილი, რომლებმაც ილიას გამოცემის საქმე „არალეგალურ“ საქმიანობად მიიჩნიეს და დიდი მწერლის დიადი ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოსაცემად შავი ქვის ყოფილ მრეწველებს გადაულოცეს.

ეკალი.



„კაცია აღამიანი?“



„ხარხოზელაზე“



„ჩატეხილი ხილი“



„აიოღილი“

მივლინებული ლუარსაბი ძველ-სენაკში ჩავიდა და წინასწარ დიდი კენჭი გადაყლაბა: აქაო და ძველ-სენაკში ნამყოფი ჯერ არ ვარო.

— ყველა-ყველა და ამაღამ რა უნდა მაჭამოთ ამ მოვლინებულ კაცს? — დაუძახა ლუარსაბმა ადგილობრივი სასადილოს გამგეს, — არ გეყურება, ვეფო! რა უნდა მაჭამოთ?

— რატომ რა უნდა გაჭამოთ გეთაყვა, — უბასუხა გამგემ, — ღვთის წყალობა ბევრი გვაქვს.

— მაინც?

— ამ წინა დეკადიდან დარჩენილი კაი ცივად ძროხა გვაქვს...

— უჰ, უჰ! კარგია თქვენმა მზემ! მომიტანეთ. — წამოიძახა ლუარსაბმა და ათი დღის ხორცს წაეტანა.

— უჰ, უჰ! ეგ რა გაგირევიათ შიგ? — კვლავ იყვირა მან, როცა ხორცმა სულ დაუსუსხა ენა.

— არაფერი ბატონო, პილპილიანია ცოტა...

— უჰ, თქვენი! — ბუტბუტებდა ენადამაშხული ლუარსაბი. — ამას ვინ შეჭამს! — მომიტანეთ სხვა რამ...

— კარგი ღორის სუკები...

— უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რაღაც უნდა ღირს. მე ამაღამ როგორღაც მაღაზედა ვარ.

მიუტანეს ღორის სუკები.

— ოხ! ოხ! ხხხხ! — ახრიალდა ლუარსაბი, — ეს რა მოგიტანია შე უგემურო? ხომ დავიხრჩე კაცი!.. ხხხხ!

— დაგწვათ ბატონო? ჩემი სიკვდილი! ცოტა პილპილი მაგასაც ჰქონდა.

ცოტა კი არა, სულ წიწაკაა... მერე როგორი... სხვა არაფერი გაქვთ სახეირო?

— ზურგიელიცა გვაქვს. ასეთია, რომ ქონი გასდის.

— უჰ, ეგ, ზურგიელი, თქვენმა მზემ, რაღაც უნდა ჰღირს. მომიტანეთ!

— მიუტანეს ზურგიელიც. ისიც პილპილიანი აღმოჩნდა. ესე იგი, ცოტა ზურგიელი ერია, დანარჩენი წიწაკა იყო.

— ეს ზურგიელი, როგორც იქნა, გადავაგორე... სხვა რა გაქვთ?

— რა გვაქვს“ საცივზე როგორა ხართ?

— უჰ, უჰ! შენმა მზემ, ვაცივითა ვარ, ვაცივით. მომიტანე...

მოუტანეს საცივიც, ოღონდ შიგ ქათმის ხორცის ნაცვლად პილპილი ელაგა. ლუარსაბი ჰამდა, მაგრამ თვალებიდან ცრემლი ღაჭა-ღუპით ჩამოსდიოდა.

— აღარ შემიძლია, — დააყოლა ლუარსაბმა, — მეტი რა გაქვთ?

— ერთი კარგი ჩახოხბილი ნა ვერტელა?

— უჰ, უჰ! ნა ვერტელაზე კერატივითა ვარ, კერატივითა, — არახრახნდა ლუარსაბი, მაგრამ იმ ჩახოხბილის ჰამამ იმდენი ატირა, რომ დარეჯანზე იმის მეოთხედი ცრემლი არ დაუღვრია: ჩახოხბილიც პიპილით იყო საცეს.

— ღვინო როგორი გაქვთ? — ტირილით იკითხა თათქარიძემ.

— ღვინო? ოჯალეშიცაა, შამპანიურიც და იზაბელაც...

ხარბათ სვამდა პილპილით პირდათუთქული ლუარსაბი: დაითვრა და მოჰყვა უგზო-უკვლოდ ტიტინს:

— ვენაცვალე მივლინებასა. — ამბობდა მთვრალი ლუარსაბი. — ვენაცვალე! ეგ რომ არ ყოფილიყო, მარტო ჯამაგირი რას მეყოფოდა? დავბრუნდები, ბუღალტერს გაბერილ სამივლინებო ხარჯებს დაუწერ და გავამართლებინებ. ჩვენი ბიჭია. მერე ბუღალტერსაც და ორიოდ მოზრდილ თანამშრომელს წავიყვან, ჩავსხამთ და ჩავასხამთ. ჯაზიც იქნება, ფოქსტროტიც, ქალებიც იქნებიან... რალა თქმა უნდა, ჩვენი გამგის ცოლისდა ვეროჩკაც. აბა, მითამ ეხლა ის ჩემი ნამივლინევი ბანკეტია. ვეროჩკა, თუ გიყვარდე, აი! შენ ვალს — ბოსტონი ჩამოუარე, მე „პაწაწინა ჯაზის ტოტს“ დავძახებ. ჰა და პაწაწინა ჯაზის ტოტი! ჩუპრი — ჩუპარ, ტანგო-ჩუპარ, ბოსტონ-ვეროჩკასა! მივლი...ნე...ბულის ჭი...რი...მე... ჩაარაკრა... კებს კულასა... საქმეებს თვალმც გამოსძრომია... ვეროჩკას ურბა!

ყროყინებდა გაბრუებული ლუარსაბი და ჩაეძინა კიდეც. ბევრი აღვიძეს, ვერ გააღვიძეს, მერე ხელი ჩაიჭნიეს და დილამდე მაგი-



— ლუარსაბ რაღას ვუცდით, ერთი ბავშვი მაინც გავიჩინოთ!

— დაიცა ჯერ აღრეა, რა გეჩქარება.

დასთან ჩაძინებული დასტოვეს.

დილით ლუარსაბი თავის ტკივილმა გამოაღვიძა. სტკიოდა ყელიც, ენაც და სასაც; ყველაფერი დაეთუთქა პილპილს, ხოლო ღვინისაგან თავი უსკდებოდა.

ანგარიში მოითხოვა. მიართვეს, მაგრამ ვაი ამ მირთმეებს: რაც ჯიბეში სამივლინებო თანხა ჰქონდა, ორი იმდენი უანგარიშეს და თან ბოდიშს იხდიდნენ, რომ საჭმელები საკმაოდ არ იყო შეზავებული პილპილით.

ჩავარდა ლუარსაბი. ის პატიოსანი ფაშვი უცებ ჩამოებღერტა, ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა. ის დიდრონი ძროხის ოდენა თვალები უგემუროდ მიეღივა. ის სამკეცი ფაფუკი დაბაბი გულდა ლელვსავით გაუხდა, — ერთი-სიტყვით, წახდა მივლინებული კაკალი კაცი.

რომ ველარაფერს გახდა, რაღაც ეშმაკად თევზი მოითხოვა, „პახმელიაზე“ მომიხდებოა. შოართვეს მთელი თევზი კუტუმში, რომელიც ხანმოთუელი ყოფილიყო. იმ კუტუმს ლაზათიანად მიიძღა, მოუვიდა აპენდიციტი და იქვე ჩაბარდა პატრონს.

აღლარ-აღლარსან.

ახირებული ხალხი ვართ იუმორისტები:

საკმარისია, მოვიწადინოთ და საუკუნეებს იქით დამარხულ ადამიანებსაც კი გაეცნოთ, მივატარო-მოვატარებთ, ქვეყანას ვაჩვენებთ, ჩვენი თანამედროვეობით გავაოცებთ და გაგიხარებთ, ჩვენს საკბილო ამბებსაც ბლომად გამოვცინცლავთ.

ასე შეხვდი ლუარსაბ თათქარიძესაც:

ქალაქის განაპირა უბანში მეგობრის მისამართს ვეძებდი. ერთ ფართო სოფლური ყაიდის ეზოში მომიხდა შესვლა. აქ უცნაურ სურათს გადავეყარე: აკაციის ხეზე მიბმულ გაძვალტყავებულ ცხენზე იჯდა სახეფაფუკი, ბურთივით რგვალი, მოკლე ფეხება აკაცი, რომელსაც გაცვეთილი, მრავალ-ალგას თეთრი ძაფით დაკრებული ქულაჯა ეცვა, ფართო ღიბი ქამარს ზევით გადმოვარდნოდა და შეტოკების დროს რუმბივით ქანაობდა. იგი იჯდა გაშტერებული, უძრავი, უმეტყველო თვალებით. იფიქრებდით თივით გატენილი უზარმაზარი თოჯინა შეუსვამთო.

— ალბათ კარნავალს ამზადებენ, — გავიფიქრე გულში და რაკი ეზოში მეტი არავინ იყო, იმ თოჯინას შევეკითხე:

— უკაცრავად ქლიკაძე ამ ეზოში ცხოვრობს.

თოჯინამ თვალები ჩემსკენ მოაბრუნა და ტუჩების წმაწუნით მომიგო:

— ფრთხილად ვეყო, ცხენი არ დამიფრთხო, თორემ ჩამოვეარდები და დავშავდები.

მე გამეცინა და მოკლედ მოუჭერ, —

— ხუმარა ყოფილხარო.

— იმ კარგი მამის სულს გეფიცები, რომ მართალს ვამბობ, — ვაი შენს ლუარსაბსა, — სიტყვასაც რომ აღარ გიჯერებენ.

— ლუარსაბი ვინ არის?

— მე გახლავართ ვეყო, სხვა ვინ იქნება?

— ვინ ლუარსაბი?

— დალახვროს ღმერთმა, გულნატკენად ჩაილაპარაკა მან, — ჩვენ დროშია შენ ხარ ჩემი ბატონი, ქვეყანამ იცოდა ვინ იყო ბატონი ლუარსაბ თათქარიძე, ეხლა კი...

ვიცანი, ეს თათქარიძე იყო.

— ლუარსაბ თათქარიძე, — როგორ არა, გიცნობთ, მშვენივრად გიცნობთ, — შევაგებე მე.

— არა, თუ გიყვარდე, იმ მამიშენის სულის ცხონებასა, მართლა მიცნობ?

— მართლა, ნამდვილად.

მან კმაყოფილად დააკრავუნა კბილები.

— ეგრეა, ეგრე... სახელოვან კაცსა შთამომავლობაც არ იფიქრებს. — ვეყო, რატომ არ უნდა ვახსოვდე. — ამ ნასწავლებლივით დახაზილი კი არ ვიყავი, ღვთის მოცემული სტომაქი კარგი მქონდა, ჰამა კარგი ვიცოდი და სმა. ვენაცვალე ჩემს მუცელსა, ამან ჩამავლო ისტორიაში. ღიბზე მოწიწებით დაირტყა ხელი და განაგრძო:

— მე ხომ ძველი კაცი ვარ, ქვეყანა წინ წავიდაო იმასთან, — ალბათ ჰამის ხერხიც გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ჩემდენს მაინც ვერავინ შესჭამს.

— ვითომ?

— ჰო, თელეთის მადლმა მართალს ვამბობ, — ვითომ მეუბნებიან ზოგიერთი ტრესტის ხელმძღვანელი და ვილაც გამფლანგველები რომ ყოფილან, შენზე მეტსა სჭამენო, მაგრამ მაგას ვერ დავიჯერებ.

— მართლა?

— მართლა მეთქი. — თან იმასაც იმასთან თურმე ზოგიერთი მწერალი გამოჩენილაო და ისინიც ჩემსავით ბევრსა მცონარობენ და ბევრსაც სჭამენო, მაგრამ ვერც ამას დავიჯერებ.

— კი მაგრამ, ერთი ეს მიბრძანე აქ რამ მოგიყვანა?

— ნათესავს ვესტუმრეთ მე და დარეჯანი. ჩემი სიმამრის გძე-ლაძის ჩამომავალი კვებტრესტში გახლავთ, საკმელი ბევრი აქვს და სასმელი, ჩვენცა ვთქვით, მოდი მივეშველოთ, ხომ გაგიგონია ანდა-ზა — მარტო კაცი ჰამაშიაც ბრალიაო.

— თუ ასეა, წამწარდება, მაგრამ ეს სხვა საკითხია, — მაგ დაბმულ ცხენზე რატომ ზიხარ?

— ექიმბაშმა მიჩია ვეყო.

— რატომ?

— რატომ და ეს რაღაცა სტანდარტული სახლები რომ შემოვიღიოთ, კარები და შესავალი ისე ვიწრო აქვს, რომ ვერც ერთ სახლში ვერ შევვტიე, ექიმბაშს მივმართე და მითხრა — თუ არ გახდი, ვერ შევტევო.

— მერე ცხენი რა შუაშია?

— თურმე ცხენზე ჯდომით გახდომა შეიძლებაო. დღეში ექვს საათს ცხენზე უნდა იჯდე და გახდებიო. მეც ვიშოვე ეს უწყინარი საქონელი და დღეში ექვს საათს ვზივარ გაუნძრევლად.

გამეცინა.

— რას იცინი ვეყო?

— ცხენზე ჯდომა კარგია, მაგრამ დაბმულ ცხენზე კი არა, მოჯირითე ცხენზე უნდა შეჯდე, უნდა აჰენო, იმოძრაო და მაშინ გახდები.

შერცხვნილმა ლუარსაბმა ქეჩო მოიფხანა.

— აი დალახვრა ღმერთმა, მაგას კი ველარ მივხვდი, სწორეთა.



რამოდენიმე დღის შემდეგ კვლავ მომიხდა იმ ეზოსკენ გავლა. შევიხედე ჰიშკარში და ახალი სანახაობა წარმომიდგა:

ლუარსაბი წამოგორებულიყო ეზოში და პირდაღებულს გაცეცებული თვალები ცისთვის მიეპყრო. ის ის იყო, ცაში ძალიან მაღლა თვითმფრინავების ესკადრილიამ გადაქროლა, მწყობრად მოისმა ძრავების გუგუნის და მათი ჩრდილი მიწაზე მოიხატა.

— აი ხედავ, დარეჯან, წეროების ქარავანი. — თითქო ჯერ შემოდგომა არ უნდა იყოს, წეროები კი მიფრინავენ.

— არა შენ შემოგველოს დარეჯანი, — ეგ ისევ თვითმფრინავების ესკადრილიაა, ვერ ამჩნევ?

— ჰო, ეგ კი ველარ მოვიფიქრე, — ვერ მოვიფიქრე, თორემ გამახსენდებოდა, — დარეჯან, მითომ საით მიფრინავენ ჰა?

- ალბათ არქტიკესკენა.
- ეჰე, საით უნდა იყოს ეგ რაღაცა, თელეთზე შორს იქნება?
- შორს ყოფილა, აი სულ იქითაო, — ქვეყნის ბოლოში, სადაც თურმე სიცივის კუჭიაო.
- არა, მართლა, კუჭი სიცივესაც ჰქონიაო? აი, ხომ გეუბნები, მთავარი კუჭია მეთქი; რაო. სულ სიცივეაო იქა?
- სულ, ყველაფერი ყინულისაო.
- რას ამბობ, არტალაცა?
- არტალაცა და ჩიხირთმაც.
- ღვინო? ალბათ ღვინო კარგი უნდა იყოს, რაკი სახელი ისეთი აქვს რომ „ტიკს“ მომაგონებს.
- ღვინოც თურმე ყინულისაო.
- ეჰე, შაქარიცა?



- შაქარიც.
- აი ნეტავი კი მაჭამა. მაშ თვალმარგალიტიც ბევრი იქნება.
- თურმე სულ სავსეაო.
- ახ, ნეტავი კი გამაძღო იმითაცა.
- ვინ მიგიშვებს თურმე შმიდტი და მოლოკოვი ზარბაზნებითა ჰყარაულობენო.
- მოიცა და ვისიაო ის სახელმწიფო?
- თურმე მუდამ დევთა ხელმწიფისა ყოფილა. აქამდე ვერც ერთ სულეირს ჯერ ფეხი ვერ შეუდგამს იქა, — ეხლა კი ბოლშევიკები შევიდნენ და დაიჭირესო.
- არა, თუ გიყვარდე — სულ დაუჭერიათო?
- სულა.
- ოღონდაც, მაგათ რა გაუმაგრდებათ. ვაი შენს ლუარსაბსა, მაშ იმ ნაყმევებს იქაც გაანთავისუფლებდნენ!
- მაშა, სულ თავიანთ ნებაზე მოუტრიალებიათ მთელი ზღვა და ხმელეთი.
- ვაი შენს ლუარსაბსა... მაშ შერჩათ, შერჩათო ჰა? ჩვენი ზსნის იმედი აღარ ყოფილა.
- არა, ჩემო ტურფავ, არა ყოფილა.
- მაშ მოიტა ამ ჯავრიან გულზე ერთი გავძლეთ მადლიანათა...

გუშინ ქუჩაში ვნახე ლუარსაბი.


ძველი ქულაჯა გამოეცვალა — კოსტუმზე. უშნოდ მობაჯბაჯებდა ქუჩაში. რაღაც ბერეკას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ლუარსაბს: წარმოიდგინეთ იგივე თივით გატენალი ვეებერთელა თოჯინა, რომელსაც „ჩალსტონის“ შარვალი წვივებამდე აჰაჩვია, რადგან შიგ ვერ ჩატეულა, პიჯაკი მუცელს ძლივს უფარავს, ცბლი სახელო მოკლე აქვს, მეორე — გრძელი. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდის და ქშენითა და ხენეშით მიგოვავს.

— დიდ პატიოსან სალამს მოგართმევთ ყმაწვილო, — მომმართა მან, კარგია ერთი ნაცნობი მაინც შემხვდი, მამა ნუ წამიწყდება და-

კარგულად მიმაჩნდა თავი ამ უზარმაზარ ქალაქშია.

- ოჰ, ლუარსაბ, ეს რა ყაიდაზე გამოწყობილხარ?
- მოდაზე გამოვეწყვე. თქვენს „მკერავმრეწვეში“ დამარწმუნეს უკანასკნელი მოდა ეს არისო.
- ჰო, ეტყობა, მართლაც ჩვენი „მკერავმრეწვეს“ ნამუშევარია?
- როგორ იშოვე?
- პროტექციით ვეყო. — ჩემი სიმამრიშვილისშვილი ახლოს იცნობს დირექტორსა.
- საით მიეშურები?
- თეატრში ყმაწვილო, — ჩემი თავის ნახვა მინდა.
- როგორ თუ შენი თავისა.
- იქა მდგამენ.
- არ მესმის.
- მდგამენ მამის სულს გეფიცებით — მეცა და დარეჯანსაც გვდგამენ.
- მაინც ვერ გავიგე.
- ილია ჭავჭავაძე ხომ იცი?
- როგორ არ ვიცი.
- ისიც გეცოდინება, რომ იმ სულგანათლებულმა ისტორიაში ჩამწერა.

- ეგეც ვიცი.
- გზად ლუდხანაში შემეყვანა.
- აბა, ერთი მამიშენი სულის განათლებასა, დაგვისხი.
- როცა ლუდი მოგვიტანეს, ლუარსაბი გოცდა.
- ვეჟო, ლუდი გითხარით.
- ჰო და ჩვენც მოგართვით.
- ეს ხომ ქაფია!
- მერე?
- მერე ის, რომ ქაფი ვის რათ უნდა.
- ე-ე, — შენ საიქიოდან ხომ არ მოსულხარ? — გაბრაზდა მე-ლუდე, — აქ ბევრი ქაფით ცხოვრობს და ეს კი ქაფს მიწუნებს.
- კასრი მოაგორეს, — ლუარსაბმა ცალი ჯიბიდან ძაბრი ამოიღო, მეორედან მთელი დოში, გულის ჯიბიდან ცხვრის ბარკალი და ნა-ზუქები. კი არ სჭამდა — ნთქავდა, კი არ სვამდა კასრიანად იშრობდა. დრო და დრო კი სიტყვებისათვის მოიცლიდა და მასლაათს მი-ბამდა:



— იმას გეუბნებოდი, კარგია შემხვდი, — წამიყვანე ერთი მაგ თქვენს მწერლებთანა, ვნახო, მართლა ისინი ილიას შემკვიდრეები თუ არიან? ილიამ ხომ გვაწყენინა, ჩვენი სისხლი და ხორცი გვეგონა, მაგრამ გადაგვიდგა, გავგიათხა, ქვეყნის ყბადასა-ლები გავგხადა, მაგრამ აი, ხომ ხედავ მაინც ცოცხალი ვარ. რათა? იმიტომ, რომ იმის კალამს სხვა ძალა ჰქონდა, უკვდავების მეღანში აწებდა.

არა, ერთი მაჩვენე, მაჩვენე, ეხლანდელი მწერლები, ერთი იმა-თი კალამების ძალა მინდა ვნახო.

გაჯიუტდა ლუარსაბი და დღესაც მოსვენებას აღარ მაძლევს.

ფარსადანი.

„რეფემდის?“



საქართველოს
წერათმცოდნეობის
კავშირთა კავშირი

ნახ. მ. ლებეშვილის


„ბორჯომის რაიპროკურორმა გოგალა-
ძემ უკანონოდ გამოასახლა ბინებიდან
მოქ. ვალ. ვასილცოვი და არმენაკ კარა-
პეტიანი. ეს მან ჩაიდინა პირადი ანგარების
მიზნით. მეორე წელა ორი მუშის ოჯახი
იტანჯება, საქმე სასამართლოს ყველა
ინსტანციაში გამოსახლებულთა სასარგებ-
ლოდ გადაწყდა. რესპუბლიკის პროკუ-
რორმა რამდენიმეჯერ მისწერა გოგალა-
ძეს — დაუყოვნებლივ აღედგინა ვასილ-
ცოვი და კარაპეტიანი, მაგრამ გოგალაძე
არ ემორჩილება რესპ. პროკურორს.“

(ნიაგკორ — ბორჯომელის წერილიდან).

როდემდის უნდა შენ არ სცნობდე სწორ-
სა სამართალს —
შენ თვით კანონის დასაცავად დაყენებულა?
ნუ თუ შეგფერის ანგარებით სდევნიდე მარ-
თალს —
სერგო, კულაკის სუფრის თავზე დასკუბე-
ბულა?
ძროდე, — კრიტიკა საქმიანი არც შენ და-
გინდობს,
არ გაპატიებს მით უმეტეს ასეთ ხრიკს ან-
გალს, —
ნუ თუ არ იცი რომ ვინც ასე ყოყმობს,
ფლიდობს —
იგი ვერასდროს ვერ ასცდება ნიაგის ჩან-
გალს?



„ბაზალეთის ტბა“



„გულაურის ქ. №1 მცხოვრებმა №263
„უაქტის“ ტექნიკოსმა შავდათუაშვილმა
გამგეობის მიერ აღწერილი სახლის შე-
კეთებისათვის გადაღებული თანხებით სა-
კუთარი ბინა გაიფართოვა. შენობას კი-შე-
კეთების მაგიერ, სახურავი ახალა, წვიმის
დროს ბინებში წყალი ჩადის და ტბად
დგება.“

(რვა დგურის წერილიდან).

გულაურისა ქუჩაზე
ერთი ტექნიკი არისო,—
და მის გარშემო „უაქტშია“
დამჭერებიცა ჰყავს მხარისო.
ავია მულამ ტექნიკი,
არასდროს თურმე არ სცხრება,—
და დავალებას მიცემულს —
იგი არ ემორჩილება,—
ამბობენ გამგეობასა
რემონტი გაღუწყვეტია,—
და თანხა გადაუღვია
შვიდ-რვა ათასზე მეტია,—
იმას კი აღარ ამბობენ
ფული რომ იფლანგებაო,—
იმის წყალობით მთელს სახლში
ბაზალეთის ტბა დგებაო.
იქნებ ტექნიკი ის არის
ვისაც მავნებლად იტყვიან,
და ვისაც ანგარებისთვის
საკადრის სასჯელს უსჯიან?
თუ ეს ესეა ნეტა მას —
პროკურორს სახელდებულსა,
ვინც შეუფარდებს იმ „გმირსა“,
კანონს კოდექსში დებულსა!



ქაქი

ყოჩაღი



„რესპუბლიკის პროკურატურაში ხშირად შედის მასალები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო აპარატში მოკალათებული ბიუროკრატები სდევნიან და საბუღალტრო ხსნიან მუშაკებს მამხილებელი კორესპონდენტების მოთავსებისათვის.“

გაიღო კარი და შეეცრადა მდივანთან ვილა დასკუპდა ქშენით, — მიუახლოვდა მაგიდას მედგრად მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი:

— ვერ მიმასწავლებ პროკურორის გზას? ჰკითხა თამამად მან იმ მდივანსა,

— რატომ ვერ ძმაო, აგერ იმ კარსა მარჯვნივ აუხვევ და აივანსა —

გასცდები თუ არ, გზა დაგიხვდება იმ გზას დაადგე წადი და როცა

წინ შევიცარი შემოგეყრება იქვე იჯდება პროკურორიცა.

— იქ რა გინდა შენ? ჰკითხა მან ბოლოს როს გაათავა გზისა სწავლება,

— იქ უპრავდელმა არ დაგაბრკოლოს, ბიუროკრატი ვინმე ბრძანდება,

— შენ ფიქრი ნუ გაქვს... მეც იმას ვეძებ, მეც მისთვის ძამო ვიბრძვი და ვშრომობ,

რომ ყველა მავნეს ჩვენს აპარატში აგხსნა ნილაბი, ვინც კი ქვემძრომობს,

— და რა სთქვა ესა, კარები რბენით გაიჯახუნა არ მდომმა ზავის,

გაფრინდა მკვირცხლად ვით შევარდენი და კაბინეტში ამოყო თავი.

კაბინეტის წინ მაგიდა იდგა, მწვანე მაუღით გადანაფარი,

ის მოკაზმული, ხშირად ყოფილა, ბიუროკრატის თავშესაფარი.

იქ იჯდა ერთი საქმის მმართველი, რეგისტრატორთან გულის გამრთველი.

ჯერ არ შეხედა მისულს მმართველმა. მან ძველ ოქმებში ღრმად ჩარგო თავი.

პოზა მიიღო ვით ოფლის მღვრელმა რომ მთხოვნელისთვის მოედო კივი.

— მაგრამ მისულმა აღარ ახანა — და მღუმარ მმართველს სიტყვა ახალა:

კაკო: — ვდგევარ და გიცდი, ვერ მხედავ

განა? გთხოვ რომ შემიშვა პროკურორთანა.

მმართველი: — „პერერივია“, დღეს ვერ შე-

ვიშვებ, — შემოიარე ორი დღის უკან,

ან მასზეგ მოდი, რა გეჩქარება. — ასე სასწრაფოდ შესვლას რომ მნუკავ?

მოსული მმართველს დიდხანს უტყერდა, ვერ მოითმინა და დაიგრგვინა:

პროკურორი: — მომწონს ეგ სიტყვა, შენც

მომეწონე, — საქმეს ასე რომ აჰიანურებ

მინდა გავიგო ბრძანდები ვინა? და ეს ხმა ფხიზელ პროკურორის ყურს

კაბინეტშიც არ გამოეპარა. — კანონმდებლობის დარაჯს და მზრუნველს —

სჩანს ღირსეულად საქმე ებარა. წამოხტა იგი ლომივით ზეზე

კარი გააღო და შეაყენა, — და რა იხილა, კაცი — დირეზე

შეჰკივლა: — მითხარ ვინახარ შენა? რისთვის მოსულხარ. — მოყვარად თუ მტრად?

კაკო: — მოყვარად, გულფიცხო იყავ მშვი-

დადა, პროკურორი. — თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარ

ჯობა, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

კაკო: — ამინ... შენა ხარ სამართლიშვილი? პროკურორი: — დიად, გახლავარ რა გნებაეს

შენა? კაკო: — შენთან სიცოცხლე, შენთან სიკ-

ვდილი, შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა:

პროკურორი: მომწონს ეგ სიტყვა, შენც მომეწონე,

და კლასობრივად გენდობი შენა. კაკო: — გულს გული იცნობს და ღონეს

ღონე, მენდე გავიყო ჭირი და ლხენა.

პროკურორი: — ხომ-გელდი ძმაო, მობრძან-

დი აქეთ, ჩემს კაბინეტში ვერ შეგხვდეს გმობა,

— თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი ხალხის ერთგულთან კი ვიცი ძმობა.

წაჰყვა ნაბიჯით იგი სტუმარი და მაგიდასთან დაჯდა მღუმარი.

შემდეგ კი სწრაფად გაიბა მათი — საუბარი და არა კამათი.

კაკო: შენზე ამბობენ გიყვარს მუშკორი. გაქვს მშრომელებთან მიდგომა სწორი

და მიტომ მოველ გულდაგულ აქ მე, რომ მავნებლური გაგაცნო საქმე.

პროკ: — მითხარი ძმაო, ხომ არავინ გდევნის? მტერს, ბიუროკრატს თუ გადააწყდი? —

გადმოალაგებ ალბათ საბუთებს და მამხილებელ ცნობებს მომაწვდი.

კაკო: — ყური დამიგდე, გეტყვი ყველაფერს, რა სისაძაღლე ჩვენს ტრესტში ხდება. —

როცა ამჟღავნებ ძამო, ხალხის მტერს კრიტიკის როგორ მოგერიდება?

მაშინ ოცდაორ წლისა ვიყავი, როცა მე ტრესტში მიმიღეს მუშად

წამსვე საწყობში მე მიკრეს თავი და ჩამაბარეს საქმენი ბლომად.

მაღე გავეცან იქაურ ამბებს,

ფხიზლად ვხედავდი, რაც კი ხდებოდა, — და ყველა თაღლითს, ზარბაცს თუ წამლეჯს

ჩემი მხილება არ ასცდებოდა. კედლის გაზეთში წერას ვხედავდი —

მოურიდებლად, რასაც ვხედავდი, და ამ წმინდა ვალს, რომ ვასრულებდი

თავს კმაყოფილად მუდამა ვგრძნობდი. მაგრამ ტრესტში მყოფ ბიუროკრატებს

ჩემში საშინლად არ მოსწონდათ ეს. მხეცი რამ იყო ჩვენი მმართველი:

ერთი აჯამი, გულქვა რეგენი, რა გავაგრძელო? ბიუროკრატი

კარგი არ არის — ავი რა იყოს, — ის გაფხორილი უტვინო ბატი,

თურმე მტრებისა აგენტი იყო. მორეკა თვისი ნათესავები,

უცოდინარნი და მყვლეფავები, და საწველ ფურად გაახდევინა

ტრესტის დოვლათი, ხალხის ქონება, — აბა მითხარი, ამას რომ ხედავ,

მუშკორს ეს როგორ მოგეწონება? დავაკვირდით და მოვნახეთ ხერელი

იქ კარგი საქმე არ კეთდებოდა, — და იმ მმართველის ლოცვა-კურთხევით,

მტერი ნილაბქვეშ გვემალებოდა. ვხეთქეთ გაზეთში, დღის სინათლეზე

გამოვიტანეთ ფაქტების დასტა ამაზე გაწყრა ჩვენი მმართველი

და დაეძგერა ჩემს ამხანაგსა: — „ბიჭო რასჩოტი, ბიჭო რასჩოტი!“ —

გადასძახა მან ბულალტერიას, — მოხსენით ფიცხლავ, ეს გულბოროტი

ხელის შემშლელი ჩვენი მტერია. პროკ. — მერე? შენ რა ჰქენ? რას უყურებდი.

რა ოხრობასა აქნევდი კალამს, რომ მართალ მუშკორს ახსენივინებდი,

ბიუროკრატებს, ვინც სახეს მალავს? კაკო: — ჯერ, ამხანაგო, კმარა, ნუ სწყურები,

არ იცნობ კარგად ვინ არის კაკო — მაგრამ ისა სჯობს რაც იქა ხდება

ამ საბუთებმა ილაპარაკონ. და რა ესა სთქვა, გახსნა პორთფელი

და საბუთები უტყუარ კედლად — ამოალაგა, რაც ტრესტში ბნელი

საქმენი ხდება — მათ სამტკიცებლად. — შენი გამჩენის ჭირიმი, შენი

მართლაც ყოჩაღი ყოფილხარ კაკო, რომ დამნაშავეს კბილს გამოუჩხრეკთ —

ცხადია, რაღა ვილაპარაკო. და ამის მნახველ, პროკურორისა,

რაც გააკეთა — მრისხანე ხელმა, — მავნებელთ მიმართ გულამღვრეულმა

წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა.

სოფ. ქვედა ბახვის (მახარაძის რ.) კოლ-
მეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გამ-
ფლანგველი ალექსანდრე ბაჯელიძე, იმა-
ვე ბახვის სოფსაბჭოს თავმჯდომარედ
აირჩიეს.

ჩვენს სოფელ ბახვში, სადაც, ნიანგო,
შენი ჩანგალი ვერ მიწვდენია,
თავმჯდომარობა სოფლის საბჭოსი
ბაჯელიძესა ლექსოს შთენია.

უწინდელ დროში ამ ცნობილ „რანდს“
ჩვენ კოლექტივის ქონება ბევრი
„გაუმასქნია“ და „გმირობისთვის“
„კვაჭსა“ უწოდებდნენ დღესაცაა ერი.

კვაჭობა მისი „ცას“ შეუწირავს,
მისი ზრახვანი „ღმერთს“ უსმენია
და ნაკვაჭარი ცნობილი კვაჭი
კვლავ თავმჯდომარედ მოუვლენია.

ერთი წლის წინათ, როცა ეს გმირი
კოლექტივისას დოვლათს ჭაფავდა
და იმ გაქაფულის დამშვიდებულად
თავის „უმანკო“ სტომაქში ნთქავდა,—

უცებ ამოტყდა გრივალის ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ
და რევიზია მუნ ალექსანდრე
ბაჯელიძისკენ დაიძრა მიმედ.

ალექსის ცაზე ის უზარმაზარ
რისხვად აქუხდა და გაიშალა,
თითქოს კლდეს რკინა დაჰჯახებოდეს,
ქექა-ქუხილით დაიგრილა.

დაებნა ლექსოს გონება, ჰკუთ,
იმ რევიზიის ქექა-ქუხილით,
ცა აირია მფლანგველის ბედის
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.

სასტიკი იყო დადგენილება,
ლექსოს პორტფელი გავარდა ხელში
და ჩვენ ვფიქრობდით თავმჯდომარის სკამს
ველარ ნახავდა კვლავ სიცოცხლეში...

პარტჯგუფებში კი დაამუშავეს
ვით ბედოვლათი და გამფლანგველი.
და შორს განდევნეს კოლექტივიდან
ვით ცხვრის ფარისგან მსუნაგი მგელი.

— ვინაც გავებით ყველა „წავწყდებით“.
ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა.
ფიქრობდა ჩვენი ეს თავმჯდომარე
და უძებნიდა მალამოს წყლულსა.

გაძვრა-გამოძვრა... დღე დღემ შესცვალა,
ამოქათქათდა ბნელ ცაზე მთვარე
და ბაჯელიძე სოფსაბჭოს ჩვენსას
კვლავ მოევიწიე ვით თავმჯდომარე.

ალექსის ბედის შემობრუნების
გასაღებს ბევრი ვერა ხედებიან,
და ეჩვენებათ თითქოს ამ ქვეყნად
სასწაულები მართლა ხდებიან.

ვისაც როგორც სურს, დე, ისე საჯოს
მაგრამ, ნიანგო, ეს კი ცხადია,
რომ ალიოშა, იგივე ლექსო
უბადლო კვაჭად დანაბადია.

და იქ, სად წინად ჩვენ ალექსანდრეს
ვამუშავებდით, როგორც გამქაფავს,

კვლავ ალექსანდრე გამარჯვებული
საქვს პატრონობს და თვის გზას კადვებს.

თუმც კოლექტივი გაქაფა, მაგრამ
დღეს საბჭოს „მართავს“ სწავილოდ ბახვში
და თავს ამ ქვეყნად ისე გრძნობს ლექსო,
ვით ორავული უშირო ზღვაში. **მანი.**

ნახ. დონის



ლუპარსაბი: — ეს რა მომხდარა, როგორ დათარეშობენ ჩვენს მამულში,
რაღაც მანქანები?

ელისაბედი: — ნუ თუ ილიას გაუმართლდა ნათქვამი, შრომის სუფე-
ვა მოვაო? დავილუბეთ, დავილუბეთ!

რკინისგზის სადგურის მოლა-
რემ თინიკო ჩადუნელმა შემოდ-
ვომის წინ საუცხოო ზეწვის პალ-
ტო შეიკერა.

— რისგან არის ეს პალტო შე-
კერილი? — შეეკითხა თინიკოს სად-
გურის უფროსი.

— არ ვიცი! — მორცხვად უპასუ-
ხა თინამ და სადგურის ბაქანზე
ვაშოვიდა.

— თინას გაუმარჯოს, — მიე-
სალმა ნაცნობი მოქალაქე. — საუ-
ცხოო პალტო შეგიკერავს... რი-
სი ტყავია ნეტავი?

— არ ვიცი! — მორცხვი სიამაყით
უპასუხა თინამ და სადგურის მო-
რიგეს მიუბრუნდა, რომელიც ის
იყო თინასთან გაჩნდა.

— რა საუცხოო პალტოა, რა
შშვენია, რისი ტყავისაა?..

— არ ვიცი. — უკმაყოფილო
ჟონით უპასუხა თინამ და ისევ სა-
ლაროში შეიარა, თინას სალარო-
ში შესვლისთანავე, მის მაგიდას-
თან მისივე კარგი მეგობარი ეთე-
რი შთვარელიძე გაჩნდა.

— რა კოხტა პალტო გიყილია.
საუცხოო ფერია, იშვიათია, რის-
გან არის შეკერილი?

— მეზავრების ტყავისაგან —
მოკლედ მოუტრა თინამ.

ღიანა.



არასრულ საშუალო სკოლის არასრულ საშუალო ცოდნის მქონე მას-
წავლემილი: — დავიღუბე!.. „პატარა კახი“ მოვამზადე ილიას სალამოზე დასადგმელად...
ჭავჭავაძის მეგონა და თურმე აკაკი წერეთლის ყოფილა...

პოლიფანტა თავკვეთის მიერ ჩაწერილი პონსპეკტი ი. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ

ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი, დაი-
ბადა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახე-
ვარში. ის იყო მემამულის შვილი და რო-
გორც ასეთმა პირველ დაწყებითი სწავლა
სოფელ ყვარელში მიიღო. ყვარელის გაღმა
არის ალავერდის მონასტერი.

ილია ჭავჭავაძის დროს იყო ბატონყმური
წესწყობილება, რაც იმაში გამოიხატებოდა
რომ ბატონი ყმას ჩაგრავდა. შემდეგ შემო-
ვიდა ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გან-
ვითარდა კაპიტალისტური წესწყობილება.
კაპიტალისტურ წესწყობილებას ახასიათებს
კერძო საკუთრება, მუშათა გავლენა, წარ-

მოების მოუწესრიგებლობა, კონკურენცია,
კონცენტრაცია, კრიზისები და კლასობრივი
ბრძოლა. ილია ჭავჭავაძემ საშუალო ცოდ-
ნის მიღების შემდეგ რუსეთში (მაშინდელ
პეტრებუხში) წავიდა, რომელიც შევიდა იუ-
რიდიულ ინსტიტუტში. მაშინ მოხდა იტალი-
ელების აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ,
რომელიც ხმელთა შუაზღვაზე მდებარეობს
და ილიამ დაწერა ლექსი „სახრჩობელაზე“.
ილია ჭავჭავაძე თავის მოთხრობაში კაკო
კაჩალში ყმას აჯანყებს ბატონის უსამართ-
ლო მოქმედების წინააღმდეგ და ამით ის
იტაცს ბატონყმურ წესწყობილებას. ასე იქ-


ცევა ილია მოთხრობას „გლეხის ნაამბოფ-
შიც“. ილიამ აგრეთვე პარიზის კომუნას უძ-
ღვნა ლექსი, რომელიც ჩააქვრეს კომუნის
ჯალათებმა, რის გამოც ილია რეაქციონერი
იყო. იგი იყო თავად-აზნაურთა საადგილმა-
მულო ბანკის თავმჯდომარე. ბანკები, ტრეს-
ტები და სინდიკატები ვითარდებიან საფი-
ნანსო კაპიტალის განვითარების დროს. კაპი-
ტალი ყოველგვარ პროდუქტს არ ეწოდება.
კაპიტალი არის ისეთი საქონელი, რომელიც
იყიდება, ან საბაზროდ მზადდება. ბანკებში
სესხად აძლევენ ფულს. ფული არის ისეთი
საქონელი, რომელიც ყველასგან მიიღება.

გ — ჯა.

„ღარაა რომ შვილი გაზარდოს“

„ანტონოვის ქ. № 22 საბინაო დავთარში ირიცხება მრჭ. ვალოდია ვერმიშენკო. იგი ამავე დროს გაწერილია არდაგანის ქ. № 4-ში. ორივე ბინაზე ვერმიშენკოს ცოლები ჰყავს (ძველი და ახალი), იგი ხუთიგანა — ლოთი. როცა ერთ ცოლს სცემს მიდის მეორესთან, სანამ მას გალახავდეს და უკანვე დაბრუნდებოდეს. ვერმიშენკოს ორივე ბინაზე აწიოკებული ჰყავს მღვმურები“.

მღვმურების წერილიდან.



ღედამ რომ შვილი გაზარდოს ამ ვერმიშენკოსთანაო: და შეთავსებით ახერხებს ცხოვრებას ორ ცოლთანაო.

როცა მეორეს გალახავს წამოვა პირველთანაო, შემდეგ პირველს რომ მიბეგვას, უკანვე წავა ხვალაო, —

ხულიგნობა და ლოთობა მას დაჰყოლია თანაო. — ორივე ეზოს მღვმურები ააწიოკა მანაო, —

ვერც მილიცამ ალაგმა ვერც სამეულმა განაო. ღედამ რომ შვილი გაზარდოს ამ ჩვენი ლექსოსთანაო.

მ ა ნ ი ს ა ნ ი თ

(სოფ. ვახანი, ორჯონიკიძის რ.)

აქ ღონღაძის ქალი გახლავს პედაგოგი, ირაიდა. რომ შეგვხვდება სადმე მავალს მოეცალო უნდა გზიდან. თორემ ქორებს მოგიგონებს ვერ გაგვრეცხავს ჩხერიმელა.

ზეიადია მღვდელური და გაჭილი, როგორც მელა. სკოლისათვის არ სცალია, ენა თუმცა აქვს-გაცვეთილი ორ კვარტალში გააცდინა ასზე მეტი გაკვეთილი.

ღიმი

შაქრის ნაცვლად... მაკვო სოდას...

(ძირულა)

ღიმონათის ქარხანას ყავს პაპიევი „მესვეურად“, სხვა ქარხნიდან გააძევეს, გამოიცინოს ყველა თუ რად.

აქიდანაც რომ გავცოცხოთ მოგვიძღვნიან ხოტბას, ოდას: — შაქრის ნაცვლად ვაჟბატონი ღიმონათში ურევს სოდას!

კირკიტა.

გ ა ე ბ ა

ღადო უსიტყვოდ სეირნობს, თითქმის მუნჯიად უცებ შეჩერდა, აფიშაში ამოიკითხა: „დღეს ფაბრიკაში შესდგება ილია ჭავჭავაძის იუბილე“.

— ღალახვროს ღმერთმა, ღღეს მომხსენებელი ვარ,

გამავიწყდა კიდეც. — სთქვა თავისთვის, მიატრია მი-სი თანმხლები და ფაბრიკისაკენ მოკურცხლა. ილია-სადმი მიძღვნილი ღოზუნგებითა და სურათებით ღამაზად მოწყობილ ფაბრიკის კლუბი გატენილი

იყო ხალხით. ღადო შევიდა თუ არა კლუბში, გულ-ზე ყვავილი მოიძრო, მაგიდაზე დასდო, თმებზე ხე-ლი გადასვა, ჩაახველა და დაიწყო:

— ჩვენ ღღეს იუბილეს უხდით ღიდ კლასიკოსს ქართველი მწერლობის მამამთავარს ამხანაგ ილია ჭავჭავაძეს. ილია ღაიბადა ამხანაგებთან, დაიბადა მან, ღიახ ღაიბადა. — ღღარ გაახსენდა ჩვენს მომხსენებელს ილიას ღაბადების თარიღი, — მაგრამ რა სა-ჭიროა როდის ღაიბადა, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენი ღღევანდელი აპერცეპცია, უნიტარულ, გეო-ლოგიურ, ფიზიოლოგიურ კრიტერიუმის ექსპერიმენ-ტულ ჰორიზონტის პოზიტივი ყოველ მოხაზულობა-ში უმანიურ სახეების, მაგრამ რა საჭიროა ეს თქვენ იცით...

— არაფერი გვესმის...

— თქვენ ისიც კარგად იცით, თუ ვინ იყო ილია...

— ვინ იყო? — შეეკითხნენ ამხანაგები.

— ამაზე მე აქ არ შევჩერდები. თქვენ ეს კარ-გად იცით. რაკი აქ ესწრება ფაბრიკის ქალების უმ-რავლესობა, ამხანაგებო, ამიტომ მე შევჩერდები თუ-მაზე — ილია ქალთა საკითხის შესახებ. თქვენ ღღეს ხედავთ ჩვენში ქალები თავისუფლები არიან, გათა-ნასწორებული მამაკაცთან. ღღეს ბედნიერია ჩვენი ქალები. აი ახლა რას ამბობდა ქალების შესახებ:

— მამაკაცსა და ქალს შორის არავითარი განსხვავება არ არის, რადგან ისინი ორივენი ადამიანები არიან, ამიტომაც ორივენი ერთნაირი უფლებებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი... ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს და არც ღედათ და არც სხვა რამედ...

აი, ამხანაგებო, ილია რას ამბობდა ჯერ კიდეც 1889 წელს. ფრთა შეისხა ილიას ამ სიტყვებმა. რო-გორც ვსთქვი, ჩვენში ქალები განთავისუფლდნენ, მაგრამ ზოგი მამაკაცი ქალს ისევ ძველებურად ეპყრობა, ავიწროვებს ოჯახში, უხეშად ექცევა.

— ეს მართალია.

— ღაგვისახელით კონკრეტულად. — გაისმა ხმა.

— კონკრეტულად რა საჭიროა ამხანაგებო.

— ღიახ, საჭიროა... მოვიტხოვთ. — წამოიძახა ერ-თმა ქალმა და ზეზე წამოღვა. ღადოს თვალები და-ეხერა ამ ქალის დანახვაზე, ნაცრისფერი ღადო იცნო ვინც იყო.

— არიქა მომხსენებელს წყალი, გული შეუწყუნდა.

— ღადო როგორც იქნა გონს მოვიდა, ამოიხრა და თავისთვის სთქვა — პირდაპირ საოცარია. ეს ჩე-მი ცოლი აქ რამ მოიყვანა. ან მე და ან მაგი.

და...

— ასე ამხანაგებო. ბოდიში, ცოტა შევჩერდი, მაგრამ გულის სივიწროვე მაქვს და ხანდისხან ასე მომღის. როგორც ვამბობდი, ქალები ღღეს ბედნიე-რებია ამხანაგებო, ღიდი მწერალი ილია ბედნიერია, რომ მას საბჭოთა ქვეყანა აფასებს და პატივს სცემს. კიდეც ბევრი ილაპარაკა ღადომ, შემდეგ ყვავილი გულზე გაიკეთა, თმა გაღივარცხნა და გაეშურა ში-ნისკენ.

* *

შეღო ბინის კარები და ის მაგრად გაიხურა, ცოლს მგელივით შეხედა.

— აი შე სალახანავე როგორ გაბედე კრებაზე მოსვლა, მე მუშტაიდის ბაღში დაგტოვე, ღუწყო-ყვირილი ცოლს. მუშტები საცემად მოამზადა. ცოლ-მა მეღვრად შეუტია.

— ღიახ, ჩვენ ქალები, თავისუფლები ვართ. ოთა-რანთ ქვრის აწი ვეღარავინ დაჩაგრავს, შენ კი გი-გინდარავ, მოწყდი ცხოვრების კალაპოტს. შეგარეს რაც ამღენხანს მაწვალე. აბა მოუსვი აქედან.

* *

ღადო პირგამშრალი გარედ გამოვიდა. მეორე ღღეს ის სასამართლოში ღაიბარეს და ალიშენტის ქალღლი ჩააბარეს.

— რას იზამ, ჩემი ბრალია, მოხსენებაზე მოუშა-დებელი წავედი, ძირითად თემას ვეღარ გავყვევ დ... ეხ... რომ ქალთა საკითხს არ შევხებოდი, ეს არ მომივიღოდა... ღადონებულად წარმოსთქვა მახე-ში გაბმულმა „მომხსენებელმა“.

ივანიკა.



ტურისტები: — თქვენ ამბობდით დიდი პოეტო, რომ მყინვარი მიუკარებელიაო, მაშინ მართლაც აგრე იყო, მაგრამ ახლა კალ-
თები გაუცვლა ჩვენი რაზმების მის მწვერვალებზე სიარულით.


სად არის ლუარსაბ თათქარიძე?

ამხ. ნიანგო! სოცუზრუნველყოფის კომისარიატის თანამშრო-
მელთა შორის, უკანასკნელ ხანებში ილიას დაბადებიდან ასი წლის-
თავის აღსანიშნავად გამართულ საღამოებთან დაკავშირებით ზო-
გიერთი დაყენებით ლაპარაკობს, თითქმის დიდი მწერლის გმირების
ლუარსაბ თათქარიძისა და კნეინა დარეჯანის გარდაცვალება პოე-
ტის ფანტაზიის ნაყოფი იყოს.


ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ არც ლუარსაბი და არც
დარეჯანი ჯერ არ გარდაცვლილან, ისევ ცოცხლად და ჯანმრთე-

ლად არიან და პენსიას ღებულობენ სოცუზრუნველყოფის კომისა-
რიატისაგან. ამასაც ამბობენ, რომ თათქარიძემ სხვების თვალის
ასაბმელად და თავისი წარსულის დასამალავად გვარი გამოიცვა-
ლაო.

ამხ. ნიანგო, გთხოვთ გამოარკვიოთ რამდენად მართალია ეს
ხმები და სად არის ამჟამად მკითხველებისათვის უკვე გარდაცვლი-
ლად მიჩნეული ლუარსაბ თათქარიძე?



7




6






5



4



3



1
სახელმწიფო საიდუმლოს
აცნობს პავლე მეგობარსა,
თან აფრთხილებს: — ჩუმად პეტრეც,
არ წამოგცდეს სიტყვა არსად.

2

ამ თქმის შემდეგ დამშვიდებით
გაემართა პავლე შინა,
მას მეხუთე სართულზე აქვს
იმავე სახლში თავის ბინა.

3

პეტრემ იგი საიდუმლო
ცოლს გაანდო და თან მანა
„არსად დაგცდეს,“ — საუბრის დროს
გაფრთხილებით დაატანა.

4

პეტრეს ცოლი აჰყვა კიბეს,
ინახულა კლარა კიცი,
საიდუმლო გაანდო და
ჩამოართვა არ თქმის ფიცი.

5

კლარაც აჰყვა მაღლა კიბეს
მეზობელთან გაემართა
საიდუმლო თქვა და უთხრა:
— არსად დაგცდეს ჩემო მართა.

6

საიდუმლო ამბის მცნობმა
მართამ კიბე აირბინა,
მეზობელი შინ არ დახვდა,
სული ყელში მოეჭვინა.



7

ვის გაანდოს საიდუმლო?
— აგერ პავლე, მასთან ვიტყვი! —
და უბრუნებს საიდუმლოს,
პავლეს მართა სიტყვა-სიტყვით.
გაგვიცხარდა პავლე... ამბობს:
„— მტრის ხელია, აქ სჩანს ესო,
ჭეცქნელს გავთხრი, გავიგებ და
გაგამჟღავნებ მოლაცხესო.“



2

1



„ს. მაჩაანის სახლში თეატრი წელს მუშაობის გაძლიერების მიზნით დაუქვემდებარეს სილნდის რაიონულ თეატრს. სილნდის დასის ხელმძღვანელობამ მუშაობა მართლაც ისე „გააძლიერა“, რომ მაჩაანის თეატრთან არსებული დრამწრე დაქსაქსა, თეატრში სეზონი ჩაშალა და ათასობით მაყურებელი მოუშასხურებლად დასტოვა“.

(მ. ენ-ლის წერილიდან).

შერთალი ნათელი სპექტაკლებისა ჩვენს თეატრს წელს მთლად ჩაუქრებოდა,— და დოტაცია ათასებისა სეზონში უქმად დაინთქებოდა,—

არსაიდან ხმა, არსით ძახილი, — არტისტი-არტისტს არას ეტყოდა, და მაყურებლის ამოძახილი მკაცრ საყვედურად წელს სულ ისმოდა.

ვიდექ მარტოკა... თეატრის ჩრდილი, კვლავ სოფელს შორით ეაღერებდა,— ოხ, ბედო ჩემო! სულ დაკეტილი როს ეღირსება მის კარს გაღება?

გახსოვს ტურფავ...

„კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ გასული წლის მოსავლის აღების დროს მუშები ამუშავა 1614 ზედმეტ საათს. მიუხედავად იმისა, რომ მუშებისათვის შრომის კანონი ითვალისწინებს ზედმეტი ნამუშევრის ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ არსებობს დირექტორის ორი რეზოლუცია ამ გასაპრჯელოს გაცემის შესახებ. დაბოლოს მიუხედავად იმისა, რომ მებაღეობა-მევენახეობის კავშირის ც. გ. კატეგორიული განკარგულებაც არსებობს მუშებისათვის ამ თანხის გაცემის შესახებ, მეურნეობის ბუღალტერი ნაცვლიშვილი არ აკმაყოფილებს მუშებს“.

(ნიანგორ კარდანახელის შენიშვნებიდან).

გახსოვს „ტურფავ“, ჩვენს დიდ ბაღში ჩვენ რომ ზედმეტს ვმუშაობდით?— ნეტა იმ დროს, ოფლის ღერაში არავინ არ ვცუღლუტობდით,— შენ მოსწყვიტე ქორთვა ვაზით მტევანი და როს ძღებოდი — ჩვენს, დამკვრელებს, კუთვნილ ფულის მოცემასა გვპირდებოდი. ან შენ მაშინ რა იცოდი, ან ჩვენგანმა ვინ იცოდა,— რომ ის შენი დაპირება მთლად ყინულზე დარჩებოდა?

გ ლ ღ ღ რ ი

რ-ს. (სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რაიონი). თქვენ მიერ გამოგზავნილი ლექსი ისე უხეიროდ არის დაწერილი, რომ გოდრისთვისაც არ გამოდგება. რაც შეეხება თქვენი სოფ-საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ზომებს არ იღებს ბაზრის ანტისანტარული მდგომარეობის მოსასპობად, მას ვაძლევთ ორი კვირის ვადას (ე. ი. იმდენ დროს, რამდენიც საჭიროა „ნიანგი“-ს შემდეგი ნომრის გამოსვლამდე) თუ კვლავ მდგომარეობა ძველებური დარჩა, „ნიანგი“ ავანსად გაუგზავნის თავის ნიანგურ ხმას. თქვენი სოფსაბჭოს თავ-რის ასარჩევად საბჭოთა ახალ არჩევნების წინ... გოდრის კანდიდატად.

შ-ს. (აქვე) — იწერებით:

უნივერსტეტში დავდიდგეს
ტელეფონი ავტომატი,
არის, მაგრამ არ მუშაობს,
კაპრიზია, როგორც მარტი.

ტელეფონის სამმართველოსთან თქვენ კი არა, „ნიანგაც“ ჯერჯერობით ვერაფერი გა-

აწყო, მიუხედავად მისი, ძველი მუშაკების მეტად საგრძნობლად დაზარალებისა „ნიანგის“ იერიშის დროს. ჩვენ ვემზადებით სპეციალურ და გადამწყვეტ თავდასხმისათვის თბ. ავტ. სატელ. სამმართველოზე და შესაფერი მასალებიც მაშინ იქნება გამოყენებული.

3 — კ-ს (ძირულა, ჯუღელის რაიონი). ადგილობრივ საშ. სკოლის მათემატიკის მასწ. ჭუმბაძის შესახებ იწერებით:

მასწავლებელი ჭუმბაძე

ხშირად ხუხავს ნუნუასა.

ქალებში, რომ გაერევა

ველარ იქერს ზოგჯერ თავსა.

ჭუმბაძის გასაფრთხილებლად აქ მოყვანილ ტაების გამოქვეყნებაც საკმარისად მიგვაჩნია. რაც შეეხება თქვენი ლექსის დანარჩენ ნაწილს, ეს უკანასკნელი გაზვიადებულია ჭორების ხასიათს ატარებს, ამიტომ თქვენც გირჩევთ თავი დაიჭიროთ.

თათქარიძეები რომ მოსწავბოლენ



დარეჯანი: — როგორ არ გრცხვენია, ბუზების თვლაში დაბერდი და ამ თვითმფრინავების რიცხვი კი მაინც ვერ გამოგიცვნია.

რედაქტორის მაგიერ: ს. გაჩეჩილაძე.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშილის ქ. № 5.

შეკვეთა № 669. პოლიტი. რწმ. № 7095.